

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

“G & G Invest”


ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი

შპს "G & G Invest"
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	59,983	59,306
სხვა არამატერიალური აქტივები		4,023	5,067
აქტივი გამოყენების უფლებით		-	106,492
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		16,013,309	13,545,810
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,077,315	13,716,676
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	11,300,232	2,217,843
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	252,521	1,549,526
გადახდილი ავანსები	5	880,511	522,249
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	330,932	39,589
გაცემული სესხები	7	2,022,667	1,934,166
სხვა აქტივები		410,879	691,950
გადახდილი გადასახადები		22,069	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		15,219,811	6,955,323
სულ აქტივები		31,297,126	20,671,999
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100,074	100,074
დაგროვილი ზარალი		28,535,247	19,404,207
სულ კაპიტალი		28,635,321	19,504,281
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		-	120,097
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	120,097
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	165,972	133,765
მიღებული ავანსები	8	561,438	562,238
საგადასახადო ვალდებულებები		-	4,880
მოკლევადიანი სესხები		1,737,761	346,738
გადასახდელი პროცენტები		196,634	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,661,805	1,047,621
სულ ვალდებულებები		2,661,805	1,167,718
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,297,126	20,671,999




 დირექტორი

22 სექტემბერი 2021

შპს "G & G Invest"
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	1,588,394	1,028,248
თვითღირებულების ხარჯი	10	(318,681)	(471,631)
მთლიანი მოგება		1,269,714	556,617
მიწოდების ხარჯები		(11,809)	-
საოპერაციო ხარჯები	11	(279,419)	(369,350)
შრომის ანაზღაურება		(543,205)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(25,423)	-
		-	-
საოპერაციო მოგება/ზარალი		409,857	187,267
ფინანსური ხარჯი		(303,545)	(10,107)
ფინანსური შემოსავალი		275,239	225,413
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი		763,287	423,684
არასაოპერაციო შემოსავალი		15,106	-
შვილობ. საწარმ. გაყიდვიდან მდ. მოგება		-	4,033,950
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		1,159,944	4,860,207
მოგების გადასახადის ხარჯი		(53,805)	(99,084)
წმინდა მოგება		1,106,139	4,761,123
სხვა სრული შემოსავალი/(ხარჯი)		10,588,701	4,771,738
სრული მოგება		11,694,840	9,532,861



დირექტორი

22 სექტემბერი 2021

შპს "G & G Invest"
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ძირითადი საქმიანობა

ინფორმაცია გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკაზე

შპს „G & G Invest“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2012 წლის 28 ივნისს. შპს „G & G Invest“-ის პარტნიორი კომპანიაა შპს „საბა პლიუსი“, რომელთან ერთადაც კომპანიას დაფუძნებული აქვს 6 კომპანია, სადაც 50%-50% წილებით მონაწილეობენ. გარდა ამისა, შპს G & G Invest წილის მესაკუთრეა სხვა შვილობილ კომპანიებში, სადაც ფლობს საკონტროლო პაკეტებს (შპს „ჯი ენდ კი ქეი“ და შპს „ეი პი ეს“ (2018 წლის ჩათვლით)). შვილობილი კომპანიების ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას დვევლოპერობა წარმოადგენს, ხოლო უძრავი ქონების რეალიზაციას ახორციელებს შპს „G & G Invest“-ი, რის სანაცვლოდაც შემოსავლის სახით იღებს რეალიზაციიდან 2.5%-ს.

შპს „G & G Invest“-ის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას უძრავი ქონების რეალიზაციიდან მისაღები მომსახურების საკომისიო წარმოადგენს. კომპანიის იურიდიული მოსამართლეა საქართველო, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თ. აბულაძის ქ. N31, ბინა 18.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დირექტორს წარმოადგენდა თინათინ რატიანი, 2020 წლიდან კი კომპანიის დირექტორია ბესიკ ორთოიძე.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)“ შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე. როგორც ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაშია განხილული ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - COVID 19 -ის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით, ჩვენ მოვლელით გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს კომპანიის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განხრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. იმისთვის რომ

შპს "G & G Invest"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	3.2766
ლარი/1 ევრო	3.2095	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

შვილობილი კომპანია არის პირი რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ინვესტორი მონაწილეობს ან აქვს უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე და უნარი. გამოიყენოს ინვესტირების ობიექტზე ფლობილი ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით, იმ შენატანით რაც განხორციელებულია შვილობილი საწარმოს კაპიტალში.

შვილობილი საწარმოდან მიღებული დივიდენდები მოგებაში ან ზარალში აღირიცხება, როდესაც დივიდენდის მიღების უფლება დადგენილია.

შპს "G & G Invest"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაცია არ ფლობს უიმედო მოთხოვნებს, რადგან დანერგილი სააღრიცხვო პოლიტიკა უზრუნველყოფს დებიტორის ვადიანობის ანალიზს და ყველა წარმოქმნილი მოთხოვნაზე შესაბამისი კომპენსაციის მიღებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. ასევე საქონლის ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ წინასწარ მიღებული საკომპენსაციო თანხის დროს, როდესაც თანხის მიღება და საქონლის მიწოდება არ ხორციელდება ერთი და იმავე საანგარიშო თვეში და მიღებული თანხა საანგარიშო თვის ბოლოს კლასიფიცირდება როგორც მიღებული ავანსი. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. დაბეგრულ ავანსებზე გადახდილი დღგ-ს გადასახადის გაქვითვა ხდება ავანსის სახით მიღებული თანხის შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიწოდების დროს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული უძრავი და მოძრავი ქონება მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. ბალანსზე რიცხვული მიწა აღრიცხულია შეფასების მეთოდით. მიწის რეალური საბაზრო ღირებულება შეფასებულია დამოუკიდებელი შეფასებლის მიერ, რომელიც ფლობს შესაბამის აღიარებულ პროფესიულ კვალიფიკაციას.

შპს "G & G Invest"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებულ ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

შპს "G & G Invest"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იწომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით და ფასდათმობით.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

შპს "G & G Invest"
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

საწყისი ბალანსი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ბალანსი 31.12.2018	16,481	8,558	2,449	27,488
დანამატები	13,380	-	50,939	64,319
აქტივების ჩამოწერა	(3,050)	-	(15,059)	(18,109)
ცვეთა პერიოდისთვის	(9,428)	(2,903)	(17,061)	(29,392)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	15,000	15,000
ბალანსი 31.12.2019	17,384	5,654	36,268	59,306
დანამატები	15,801	9,254		25,056
აქტივების ჩამოწერა				-
ცვეთა პერიოდისთვის	(9,993)	(4,198)	(10,188)	(24,378)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-			-
ბალანსი 31.12.2020	23,192	10,711	26,080	59,983
ბალანსი 31.12.2019	17,384	5,654	36,268	59,306
ბალანსი 31.12.2020	23,192	10,711	26,080	59,983

შპს "G & G Invest"
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2019	31.12.2020
ლარი საბანკო ანგარიშზე	887,990	153,153
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	1,329,853	11,147,078
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	2,217,843	11,300,232

შენიშვნა 5 - სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული ავანსები

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	1,549,526	252,521
გაცემული ავანსები	522,249	880,511
სულ მიმდინარე მოთხოვნები	2,071,775	1,133,032

შენიშვნა 6 - სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2019	31.12.2020
დაუმთავრებელი წარმოება	38,943	192,501
მიწის ნაკვეთი	-	137,357
სხვა	646	1,074
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	39,589	330,932

შენიშვნა 7 - გაცემული სესხები

	31.12.2019	31.12.2020
გაცემული სესხები	1,068,964	1,200,212
მისაღები პროცენტები	865,202	822,455
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,934,166	2,022,667

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	133,765	165,972
მიღებული ავანსები	562,238	561,438
სულ მიმდინარე ვალდებულებები	696,003	727,410

შპს "G & G Invest"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 9 - მოკლევადიანი სესხები

	31.12.2019	31.12.2020
მოკლევადიანი სესხები	-	1,638,300
სესხები პარტნიორებისგან	346,738	99,461
სულ მოკლევადიანი სესხები	346,738	1,737,761

შენიშვნა 10 - შემოსავალი რეალიზაციიდან

	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი გაყიდვებიდან	1,028,248	1,512,392
სხვა შემოსავალი	-	76,003
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	1,028,248	1,588,394

შენიშვნა 11 - თვითღირებულების ხარჯი

	31.12.2019	31.12.2020
გაყიდული საქონელის თვითღირებულება	469,887	317,331
სხვა თვითღირებულების ხარჯი	1,744	1,350
სულ თვითღირებულების ხარჯი	471,631	318,681

შპს "G & G Invest"**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება****2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის****შენიშვნა 12 - ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები**

	31.12.2019	31.12.2020
სოციალური დანარიცხები	7,659	7,754
დაცვის მომსახურება	763	763
გაუფასურების რეზერვი	-	12,254
მოგების გადასახადის ხარჯი	99,084	-
საიჯარო ქირა	42,290	83,755
სამეურნეო ხარჯები	5,348	6,893
კომუნიკაციის ხარჯები	13,349	13,324
კომუნალური ხარჯი	5,502	4,103
მანქანების დაზღვევა	2,130	2,689
დაზღვევა	35,501	44,839
კომპიუტერის ხარჯები	1,283	1,380
საკონსულტაციო ხარჯი	23,040	72,573
სხვა საგადასახადო ხარჯი	471	1,538
ბანკის მომსახურება	2,211	6,569
მანქანის საექსპლუატაციო ხარჯი	12,531	11,532
მივლინების ხარჯი	12,731	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	9,944	7,429
სხვა საერთო ხარჯი	95,516	2,024
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	369,350	279,419